1 დეკემბერს პეკინის ჟიელა ბაზეთმა პირველ გვერდზე მოათავსა მაო ძე-დუნის დიდი პორტრეტი და მისი წარწერის მსხვილი ფაქსიმილე, რომელიც თავდაცვის მინისტრმა ლინ ბიაომ შესრულა: „ბაბელი ზღვაში ვერ ბანაგებ უმესაჭოდ, ტეგოლოგიას ვერ ბაკოდგები მაო ძე-დუნის იდეების გარეშე". ეს წარწერა ლინ ბიაომ გააკეთა 29 ნოემბერს „სამხედრო-საზღვაო ფლოტში მაო ძე-დუნის ნაწარმოებთა შემსწავლელი აქტივისტების შეკრებისათვის". „როგორც სინხუას საინფორმაციო იუწყება, ამ ბრძანებამ შეხვედრის მონაწილეთა „ეუწერელი ალტაცება გამოიწვია". ისინი იქნევდნენ „თავმჯდომარე მაოს ციტატების ალბომებს", დღიგრძელობას ეუსურვებდნენ მაო ძე-დუნსა და ლინ ბიაოს. ბევრან ლამემდე მსჯელობდნენ ისინი მომხდარ ამბავზე, იწერდნენ დღიურებში, წერდნენ წერილებს, ბარათებს, ბეჭდავდნენ დიპლომებს, რეკავდნენ ტელეფონით, რათა თავიანთი „სიხარული გაეზიარებინათ ნათესავებისათვის, თანამშრომლებისათვის, ნაცნობებისათვის. ბაზეთებში მთელი გვერდები ეთმობა შეკრების მონაწილეთა გამოხმაურებებს „თავმჯდომარის მოადგილის ლინის ჟიელეზი დიდი ზრუნვის გამო", „რაც ამით გამოიხატა, რომ საკუთარი ხელით „დაწერა" ეს 16 ინტერგლეთი მატრიოსი მაი ინანდე, რომელზეც ბაზეთები იუწყებოდნენ. „ეს ბრძანება ნიშნავს, ამბობენ ბაზეთში,

მტკიცეა ჩვენი ხალხების მეგობრობა

ლაპარაკობენ სტუმრები

გულითადი მადლობა

ჰორსტ ბრაში,

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე

ძნელია გადმოგცეთ ის დიდი შთაბეჭდილება, რაც ჩვენზე მოახდინა თქვენს მშვენიერ სტუმართმოყვარე საშშოლოში ყოფნამ. ბევრი რამ ვნახეთ და განვიცადეთ ამ ხნის განმავლობაში. გვქონდა გულითადი შეხვედრები რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, აჭარის, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, დავათვალიერეთ რამდენიმე საწარმო, საბჭოთა მეურნეობა, ვნახეთ ახალმშენებლობანი, გავეცანით თქვენს ისტორიულ ძეგლებსა და ხელოვნების ნაწარმოებებს. მინდა გითხრათ, რომ გულითადად გვახარებს საბჭოთა საქართველოს მიღწევები.

ჩვენი კულტურის დეკადის მიზანი იყო გაგვეცნო საქართველოს მშრომელებისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები კულტურის, მხატვრობის, მუსიკის, მეცნიერების დარგში, ამ მიზნით თქვენს რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ მრავალრიცხოვანი მუსიკალური კოლექტივები, მოეწყო ჩვენი მხატვრების, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა გამოფენები, გერმანელ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს ჰქონდათ ლექციები ქართველი მსმენელებისათვის.

აქ ჩამოვედით იმისათვის, რომ გვეჩვენებინა ჩვენი კულტურა, მაგრამ ამავე დროს ახლოს გავცნობოდით ქართველ ხალხს, მის ძველ და ახალ კულტურას.

ჩვენ დიდი შთაბეჭდილებებით ვბრუნდებით საშშოლოში. სულით და გულით ვეცდებით 1969 წელს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყობა საბჭოთა კავშირის კულტურის დღეები, ასევე გულთბილად შევხვდეთ საქართველოს წარმოგზავნილებს. მაშინ ჩვენი დელეგაციის ყველა წევრი ენერგიასა და ცოდნას არ დაიშურებს, რომ თქვენს წარმომადგენლებს ჰქონდეთ ისეთივე გულითადი შეხვედრები, როგორიც ქართულ მიწაზე გვქონდა.

მინდა გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ყველა ორგანიზაციასა და ამხანაგს, ვინც ასე გულთბილად შეგვხვდა და ყველფერი გააკეთა იმისათვის, რომ წარმატებით ჩატარებულიყო თქვენს რესპუბლიკაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები.

ალფრედ კურელა,

მწერალი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი

საქართველოსთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ბევრჯერ ვყოფილვარ ამ მშვენიერ ქვეყანაში, სადაც ასეთი გულითადად იცავ ნამდვილი მეგობრის დასვეფრა. პირველად საქართველოში ჩამოვედი 1928 წელს გერმანელ მწერლებთან ერთად. და მაშინვე ამ ქვეყნის კულტურის გაცნობამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩვენი დელეგაციის წევრებისათვის საგანგებო გასაგებია ის სტუმართმოყვარეობა და გულითადობა, რასაც ჩვენდამი იჩენენ საქართველოში, რადგან ასეთი რამ ახასიათებს მხოლოდ დიდი კულტურის მქონე ხალხებს.

მე კარგად ვიცნობ ქართველ მწერალთა შემოქმედებას. ნათარგმნი მაქვს ვაჟა-ფშაველას პოემები, ვთარგმნე ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, ი. ნონეშვილის ლექსები, დაწერილი მაქვს წიგნი „მშვენიერი კავკასია", რომელიც ფართოდ არის ილუსტრირებული კავკასიონის სედგებით, აქ ნახავთ სვანეთის, ფშავ-ხევსურეთის მშვენიერ პეიზაჟებს, უმაღლეს მწვერვალებს, მე, როგორც ალპინისტი, არაერთხელ დავმტკბარვარ კავკასიონის ბუმბერაზი მთების ხილვით.

1969 წელს განზრახული მაქვს დავწერო წიგნი საქართველოზე, სადაც მეავ ჩემი დიდი ხნის მოგზაურობის შთაბეჭდილებები, დასაწერი კი ბევრი მაქვს. მე ხომ სამი წელი ვცხოვრობდი აფხაზეთში, სოფელ ფსხუში. ასე რომ, საწერი ბევრი მაქვს. ჯერ კიდევ მწერლური ვალი არ მომიხდია თქვენი საშშოლოს მიმართ.

რაც შეეხება ჩვენს დეკადას, გულითადად მახარებს ის გარემოება, რომ ერთხელ კიდევ მომიხდა ჩამოსვლა და შეხვედრა ჩემს ძველ მეგობრებთან, როცა საშშოლოში დავბრუნდებით, ჩვენს თანამემამულეებს უნდა მოვუთხროთ როგორი შეხვედრები გვქონდა აქ, როგორ ინტერესს იჩენდა საქართველოს მოსახლეობა ჩვენი კულტურისადმი.

ვეცდებით, როცა საქართველოდან სტუმრები ჩამოვლენ გერმანიაში, მოვუწყოთ ასეთივე გულითადი შეხვედრები.

იოჰან ჩილენზეკი,

კომპოზიტორი, გაიმარის უმაღლესი მუსიკალური სკოლის რექტორი

დიდია ჩვენს ორ ხალხს შორის მეგობრობა, რომლის დადასტურება იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დეკადა. გვახარებს ის, რომ საქართველოს მშრომელები დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩვენი კულტურის დღეებისადმი. ამას მოწმობს საკონცერტო დარბაზებში მსმენელთა სმრავლე და ზოგიერთი კონცერტის განმეორებით ჩატარება.

ქართველ ხალხს უყვარს მუსიკა, იცის კარგი მუსიკის დფასება. მე მომხიბლა შესანიშნავმა ქართულმა ხალხურმა სიმღერებმა და ცეკვებმა. ამ დღეებში საშუალება მქონდა მომესმინა არაერთი გულშიჩამწვდომი მელოდია, და მისი შესრულებანი იყვნენ არა პროფესიონალები, არამედ თვითმოქმედი კოლექტივების წარმომადგენლები.

ჩვენს რესპუბლიკაში კარგად იცნობენ ქართულ მუსიკას. დიდი წარმატებით სრულდება ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის ნაწარმოებები, ავრეთვე თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების ოთ. თაქთაქიშვილის, ა. მაჭავარიანის, რ. გაბიჩვაძის, ს. ცინცაძის, დ. თორადაძისა და სხვა ამპოზიტორების ნაწარმოებები.

დეკადის მიზანი იყო გაგვეცნო ჩვენი მუსიკა ქართველი მსმენელებისათვის, და პირიქით, ქართველ კომპოზიტორთა ნამუშევრებს გასცნობოდნენ ჩვენი მუსიკალური კოლექტივები. აქედან თან წავიღებთ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, რომლებსაც შეასწავლიან გერმანელ მუსიკოსები.

ამასთან მინდა აღვნიშნო ის ღიდი ცვლილებანი, რაც მე ვნახე ჩემი უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ თქვენს რესპუბლიკაში. კერძოდ, მხედველობაშია მაქვს თბილისის გრიუბანი. 1954 წელს შეხვედრა გვქონდა თბილისს შამპანურის კომბინატში. რა იყო მაშინ ეს კუთხე? პატარა დასახლება. ახლა აქ აშენებულია თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლები, არის შესანიშნავი გზები, გამშვენიერებულია თვით ქარხნის ეზო-მიდამო.

ამიერიდან მომავალი სტუმრობისას კიდევ უფრო გამშვენიერებულს ვნახავ თქვენს ქალაქს.

შეხვედრა თბილისის უნივერსიტეტში

დღეს მთავრდება საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები. ამ დღეებმა ახალი მკაფიო ფურცელი ჩაწერეს საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობის ისტორიაში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები ყველგან სასურველი სტუმრები იყვნენ.

კულტურის დღეების დახურვის წინ ოფიციალური დელეგაცია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ჰორსტ ბრაშის მეთაურობით ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორები და მასწავლებლები გულთბილად შეხვდნენ გერმანელ მეგობრებს.

უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ი. ნ. ვეკუა სტუმრებს ესაუბრა უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ. მან დიდი მადლობა გადაუხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ მეგობრებს რესპუბლიკის უდიდეს უმაღლეს სასწავლებელში მოსვლისათვის, რომელიც მალე აღნიშნავს თავის ერმოცდაათ წლისთავს. დელეგაციის მეთაურმა ჰორსტ ბრაშმა მადლობა გადაუხადა რექტორს გულითადი მიღებისათვის და გადასცა სამახსოვრო საჩუქრები. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, გერმანიის ხელოვნების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ალფრედ კურელამ უნივერსიტეტის კომკავშირს — სტუდენტი ახალგაზრდობის საბრძოლო რაზმს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები.

უნივერსიტეტის საქტო დარბაზში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებს. მიტინგი გახსნა აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

— ჩვენს უნივერსიტეტს, — თქვა მან, — მეგობრული ურთიერთობა აქვს ივნინის უნივერსიტეტთან. ჩვენთან ხშირად ჩამოდიან მეცნიერები, პროფესორები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. დღეს ვიღებთ გერმანელ მეცნიერთა ჯგუფს და სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა სახელით მოხარული ვარ გულწრფელად მივესალმო შათ.

გერმანელ მეგობრებს გულითადად მიესალმნენ დასავლეთ ევროპის ენების და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი ზ. ჭარხალაშვილი და ამ ფაკულტეტის სტუდენტი ი. ხვადაგიანი.

ჰიტინგზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის ცენტრალური პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ დოქტორმა ჰაინც ფრანკეგიჩმა.

— ძოხარული ვართ, რომ დღეს გეწვიეთ ცოდნის ამ შესანიშნავ კერას. თქვენს რესპუბლიკაში მოგზაურობამ შესაძლებლობა მოგვცა თვალნათლივ დავრწმუნებულიყავით, თუ რა დიდი წარმატებანი მოიპოვა თქვენმა ხალხმა სოციალიზმის მშენებლობაში.

მიტინგის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის უნივერსიტეტის თვითმოქმედმა კოლექტივებმა და დრეზდენელ სტუდენტ-მომღერალთა ჯგუფმა. (საქდესი).

• • •

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ილია ვეკუა (მარცხნიდან მეორე) ესაუბრება გერმანელ სტუმრებს.

ფოტო ს. კილაძისა.

საკონცერტო დარბაზებში

მრავალფეროვანი იყო საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეების მონაწილეთა გაშინდელი კონცერტების პროგრამა: დედაქალაქის საკონცერტო დარბაზები დაეთმო გერმანელ მსახიობებს.

სორლანო მუსიკის ბევრი მოყვარული მიიზიდა ვირტუოზული შემსრულებლის პროფესორ იოჰან-ერნსტ კოლერის კონცერტმა თბილისის სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. პირველ გაწყოფილებაში გერმანელმა სტუმარმა შეასრულა ბახის ნაწარმოები, მეორეში — თავისუფალი იმპროვიზაციები მსმენელთა მიერ შეთავაზებულ თემებზე. კონცერტს დიდი წარმატება ხვდა.

ამავე დღეს თბილისელებმა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში მოუსმინეს ულბრიხის კვარტეტს. ამ კვარტეტმა, რომელიც ხშირად დადის საგასტროლოდ საზღვარგარეთ, მსმენელთა აღიარება მოიპოვა და პრესის აღტაცებული გამოხმაურება დაიმსახურა. ამჯერადაც მქუხარე ტაშით დაჯილდოვეს გერმანელი მუსიკოსები, რომლებიც დრეზდენის სახელმწიფო ორკესტრის მდიდარ ტრადიციებზე აღზარდნენ.

რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში კონცერტი გამართა საესტრადო მუსიკის ორკესტრმა გიუნტერ გოლაშის დირიჟორობით. (საქდესი).

სურათზე: უკრავს ი. კოლერი.

ფოტო მ. შომიაშვილისა.

დიპლომატის მოხსენება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მეორე მდივანმა ედგარ რაინჰარდმა 30 ნოემბერს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების დარბაზში წაიკითხა მოხსენება „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და ორი გერმანული სახელმწიფოს ურთიერთობა". მოხსენებამ შეაჯამა ლიტერატურული ინფორმაციები. ამ ინფორმაციებიდან ჩანს, რომ ბერლინის ლაურეატი კრისტელ შულცე, ახალგაზრდა შემსრულებლები კრის დერკი და ფრანკ შუბელი. სიმღერა სიმღერასა სცვლის: „ნურავის ნუ ეტყვი", „სადმოს სიმღერა", კომპოზიტორ ბაუზეს „ყოველივე სხვანაირად იყო", სიმღერა კ. ნოფილმიდან „ცხელი ზაფხული" და სხვ.

დერკისა და შუბელის დუეტმა ესტრადაზე უკვე ჰპოვა აღიარება. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი კრისი და ფრანკი ერთად ქმნიან საესტრადო ნაწარმოებებს, წერენ სასიმღერო ტექსტებს, ხოლო შემდეგ კი შესაფერ მელოდიებს. მათი შემოქმედებითი და სამემსრულებლო მანერა უბრალო და სადა. საკონცერტო წარმატებაც ამის შედეგია. მათ მიერ შესრულებულმა დუეტმა „შემიყვარე, როგორც შენს გულს უნდა" გასულ წელს ბერლინის სიმღერის ფესტივალზე, სადაც 800 სიმღერა იყო წარმოდგენილი, პირველი პრემია მოიპოვა, ეს ახალგაზრდა მსახიობების დიდი გამარჯვება იყო.

ჯ. მაკპარიძე.

გადაეცათ საპატიო ნიშნები

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში გაიმართა ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეხვედრა საქართველოში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეებზე ჩამოსულ დელეგაციასთან.

სალამო შესაფერი სტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. კუპრაძემ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს დესპანმა რ. როსმაისლმა.

შეკრებილთ გულთბილად მიმართა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის მდივანმა ჰ. შეფერმა. მან საზოგადოებას ოქროსა და ვერცხლის საპატიო ნიშნები გადასცა საბჭოთა კავშირის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების აქტივისტებს.

საპატიო ნიშნით დაჯილდოებულთა შორის არიან საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გეგეშიძე, საბჭოთა კავშირის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ვ. კუპრაძე, მისი მოადგილენი — თბილისის უნივერსიტეტის კათედრის გამგე პროფესორი მ. კვესელავა, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი დოცენტი გ. ჭიჩორაძე, თბილისის უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტი ნ. კაკაბაძე, საბჭოთა კავშირის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრები — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ვ. კუპრაძეა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ვ. ჩუბინაშვილი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი მუსიკისმცოდნე, ჰენდელის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი ვ. გვახარია და სხვ. (საქდესი).

ლაპარაკობენ მასპინძლები

დაუვიწყარი დღეები

გაფართოვდა მეცნიერული კონტაქტები

გიორგი წერეთელი, აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

◆

მეგელი ქართველი ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დეკადას და ჩვენს დედაქალაქში ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლას.

გერმანელ ხალხთან ქართველ ხალხს დიდი ხანია აკავშირებს მეცნიერული და კულტურული ურთიერთობა. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დამდეგს, როდესაც ნ. მარრა და ი. ჯავახიშვილმა იმოგზაურეს სინას მთაზე, სადაც შეისწავლეს არა მარტო ქართული კულტურის ისტორიის, არამედ მსოფლიო ლიტერატურისათვის მნიშვნელოვანი ქართული ხელნაწერები, გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა პარნაკამ აღნიშნა ამ ძეგლების მნიშვნელობა მეცნიერებისათვის და ჯამოთქვა იმედი, რომ გერმანიაში გამოჩნდებიან ისეთი პირები, რომლებიც შეისწავლიან ქართულ ენას და კულტურასო. მართლაც მალე გამოჩნდნენ ახალგაზრდა ენათმეცნიერები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს გერმანიაში ქართული ენის შესწავლის საქმეს.

ფაშისტური გერმანიის პირობებში, რა თქმა უნდა, ქართველ მეცნიერებს არ შეიძლება ნორმალური ურთიერთობა ჰქონოდათ გერმანელ კოლეგებთან. ეს შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც შეიქმნა გერმანიის ისტორიაში პირველი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

ქართველ მეცნიერებს მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული გერმანელ კოლეგებთან. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა ამბობენ, ერთ-ერთ ასეთ ფაქტად ამისა, საორლანო მუსიკა ორად-ორ კონცერტზე, როგორც ეტყვიან, ნებსაყრელად ჩაგარდებოდა. პარტერისა და იარუსების გასასვლელებიც კი ავსილი ხალხით. პროფესორ კოლერის ხელოვნება ამას იმსახურებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვაკვირდებით მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთ დიდ წარმომადგენელს.

დამთავრდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები საქართველოში, რომლებმაც ბევრი სასიამოვნო შეხვედრა მოგვიტანა და ქართველი და გერმანელი ხალხების ურთიერთობაში კიდევ ერთი მეგობრობის ფურცელი ჩაწერა.

დიდი კულტურის მესიტყვენი

შალვა მშველიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი

◆

დღეს, როცა ევმშვიდობებით სტუმრებს, უკვე შეგვიძლია გულისყურთ გადავალოთ თვალი განვლილ დეკადას და ბევრი სასგულისსმო ამბავი დავიწახოთ. პირველი და მთავარი, ჩემი აზრით, ის განწყობილებაა, რომლითაც საქართველოს მშრომელები ხვდებოდნენ გერმანელ მეგობრებს, შემდეგ ის ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს გერმანელი კულტურისადმი ჩვენში. საკონცერტო თუ საგამოფენო დარბაზებში ბევრი ხალხი იყო მოდადა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ისმენდნენ გერმანელ მუსიკას, უყურებდნენ გერმანელთ ფილმებს.

როგორც კომპოზიტორმა სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენში ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია გერმანელმა მუსიკამ, კერძოდ კი დრეზდენის „შტაატსკაპელეს" სიმფონიურმა ორკესტრმა, ფილარმონიის დირიჟორობს შესანიშნავი მუსიკოსი მარტინ ტურნოვსკი. არ შეიძლება ამ ორკესტრის არც ოსტატობის დახასიათებას, არც პროგრამის გარჩევას. ეს ჩვენს პრესაში საკმაოდ მკაფიოდ აღინიშნა. ვიტყვი მხოლოდ, რომ მსმენელმა ძალიან ობიექტურად შეიფასა სიმფონიური ორკესტრის ხელოვნება. კონცერტებს მრავალი მსმენელი პყავდა, ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა გერმანელთა ხელოვნებას.

მაგრამ რაც ვნახეთ საორლანო მუსიკის კონცერტზე, მოლოდინს გადააჭარბა. იოჰან-ერნსტ კოლერი მუსიკალურ სამყაროში ჭეშმარიტად ფენომენური მოვლენაა. მისი დახასიათება მოკლედ შეიძლებელია, მისი ხელოვნება ღრმა და ვრცელ გამოკვლევას მოითხოვს. აღსანიშნავია ალრმავე ერთი გარემოება. ჩვენში საორლანო მუსიკა მხოლოდ ახლა ღვიძდება. მეოხედავად ამისა, საორლანო მუსიკის ორად-ორ კონცერტზე, როგორც ეტყვიან, ნებსაყრელად ჩაგარდებოდა. პარტერისა და იარუსების გასასვლელებიც კი ავსილი ხალხით. პროფესორ კოლერის ხელოვნება ამას იმსახურებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვაკვირდებით მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთ დიდ წარმომადგენელს.

დამთავრდა ევროპის ერთ-ერთ ცნობილ ორკესტრ-ანსამბლის, ბაზ-ის ორკესტრ-ანსამბლის ხელოვნებაზე ვარსკვლავებს. ბაზ-ის ორკესტრ-ანსამბლის ხელოვნებაზეც ეძახიან, თუ ეს ასეა, მაშინ გიუნტერ გოლაშის ორკესტრში მარგალიტებისა და ვარსკვლავების სიუხვეა: ბუბერტ ჯატ-ცენბაისერი, ვერნერ შმიტი, ფრიდხელმ შონფელდი, იოჰანე გრასვურმი, ჰაინც ბეკერი, ვოლფგანგ ვინგლერი... და თვით გიუნტერ გოლაში.

კვლავ „მოგზაურობს" გიუნტერის ორკესტრი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მაყურებელი კი ტაშს უკრავს „ანდანტინას", „ბრაზილიას", „ტუ-144", „ტურნე-67", რუსული ხალხური სიმღერის „კალინკას" თემაზე შესრულებულ იმპროვიზაციას. როგორც ყველა უცხოელმა შემსრულებელმა, გერმანელმა მუსიკოსებმაც საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოადგინეს კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის „სიმღერა თბილისზე".

კონცერტის ორივე განყოფილებას ამშვენებენ ესტრადის მომღერლები: თანამედროვე სიმღერის მოსკოვის 1966 წლის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი კრისტელ შულცე, ახალგაზრდა შემსრულებლები კრის დერკი და ფრანკ შუბელი. სიმღერა სიმღერასა სცვლის: „ნურავის ნუ ეტყვი", „სადმოს სიმღერა", კომპოზიტორ ბაუზეს „ყოველივე სხვანაირად იყო", სიმღერა კ. ნოფილმიდან „ცხელი ზაფხული" და სხვ.

დერკისა და შუბელის დუეტმა ესტრადაზე უკვე ჰპოვა აღიარება. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი კრისი და ფრანკი ერთად ქმნიან საესტრადო ნაწარმოებებს, წერენ სასიმღერო ტექსტებს, ხოლო შემდეგ კი შესაფერ მელოდიებს. მათი შემოქმედებითი და სამემსრულებლო მანერა უბრალო და სადა. საკონცერტო წარმატებაც ამის შედეგია. მათ მიერ შესრულებულმა დუეტმა „შემიყვარე, როგორც შენს გულს უნდა" გასულ წელს ბერლინის სიმღერის ფესტივალზე, სადაც 800 სიმღერა იყო წარმოდგენილი, პირველი პრემია მოიპოვა, ეს ახალგაზრდა მსახიობების დიდი გამარჯვება იყო.

ჯ. მაკპარიძე.

სურათებზე: ქვემოთ — უკრავს საესტრადო ორკესტრი გ. გოლაშის ხელმძღვანელობით; ზემოთ, მარცხნიდან — მღერის კ. შულცე; უკრავენ ორკესტრის სოლისტები ხ. ბეკერი და ი. გრასვურმი; მღერის კ. დერკი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სცენაზე არიან ესტრადის ოსტატები

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დეკადა საქართველოში დღეს მთავრდება. რვა დღის განმავლობაში გერმანელი ხელოვნების სხვადასხვა უანრის წარმომადგენლებმა თავისი ოსტატობა გვაჩვენეს.

და აი ესტაფეტა ესტრადის მსახიობებმა მიიღეს. მათი კონცერტები სოხუმისა და ქუთაისის შემდეგ რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა.

...დარბაზი ნელ-ნელა ივსება მაყურებლებით. სცენაზე ფარდა უკვე გახსნილია, აქ დასაწყისისათვის ყველაფერი მზად არის. ასეთი საკონცერტო ფორმა წარმოდგენას უფრო უშუალოს ხდის, აახლოებს მაყურებელსა და შემსრულებლებს.

კონცერტის გიდმა, მოსკოვის ესტრადის მსახიობმა ალა ტკაჩოვამ დაიწყო ორკესტრანტების წარმოდგენა, რომლებიც პატარა მუსიკალური ფრაგმენტებით გვაცნობდნენ თავს, რაც შემდეგ მთლიან საორკესტრო უვერტიურად გადაიზარდა. ასე წარმოგვიდგა ბერლინის რადიოს ორკესტრი გიუნტერ გოლაშის ხელმძღვანელობით.

კონცერტის ძირითადი ნაწილი ინსტრუმენტალური მუსიკას დაეთმო. ამიტომ პირველი ნომერიც საორკესტრო იყო. „ბერლინის პულსი" — ასე ეწოდებოდა მას.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯაზური და საესტრადო მუსიკა განვითარების მაღალ საფეხურზე დგას. საინტერესოა, რომ ბერლინის უდიდეს საკონცერტო დარბაზში „ფრიდრიხ პლაც პალასში" ყოველთვიურად იმართება საერთაშორისო საესტრადო კონცერტები „დიდი დათვის" (დათვი ბერლინის ემბლემაა) სახელწოდებით. აქ მონახულობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულნი მსახიობები. ხოლო მათ მთელი საღამოს განმავლობაში მუსიკალურ-აკომპანემენტს უწევს 150 კაცისაგან შემდგარი ოი ორკესტრი — სიმფო-ჯაზი და ჯაზ-ორკესტრი; აი სწორედ ამ ტრადიციას აგრძელებს გიუნტერ გოლაშის მაღალპროფესიული ჯაზ-ორკესტრი, თუმცა განსხვავება მაინც არის — გოლაშელები ხშირად ასრულებენ სოლო საორკესტრო ნომრებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორკესტრი მომღერლებს სიმღერაში ეცილება. ყველს ყოველი ბგერა, მღერის ყოველი ინსტრუმენტი. პარმონიულად შეხმატკბილებულია მუსიკოსთა ანსამბლი, ეს კი იძლევა მშვენიერ მუსიკალურ ეფექტს, რაც მსმენელს დიდ სიამოვნებას ჰგვრის ორკესტრის ცნობილ სოლისტ-ინსტრუმენტალისტებს ვარსკვლავებს, ხან კი მარგალიტებსაც ეძახიან, თუ ეს ასეა, მაშინ ორკესტრში მარგალიტებისა და ვარსკვლავების სიუხვეა: ბუბერტ ჯატ-ცენბაისერი, ვერნერ შმიტი, ფრიდხელმ შონფელდი, იოჰანე გრასვურმი, ჰაინც ბეკერი, ვოლფგანგ ვინგლერი... და თვით გიუნტერ გოლაში.

კვლავ „მოგზაურობს" გიუნტერის ორკესტრი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. მაყურებელი კი ტაშს უკრავს „ანდანტინას", „ბრაზილიას", „ტუ-144", „ტურნე-67", რუსული ხალხური სიმღერის „კალინკას" თემაზე შესრულებულ იმპროვიზაციას. როგორც ყველა უცხოელმა შემსრულებელმა, გერმანელმა მუსიკოსებმაც საკუთარი ინტერპრეტაციით წარმოადგინეს კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის „სიმღერა თბილისზე".

კონცერტის ორივე განყოფილებას ამშვენებენ ესტრადის მომღერლები: თანამედროვე სიმღერის მოსკოვის 1966 წლის საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი კრისტელ შულცე, ახალგაზრდა შემსრულებლები კრის დერკი და ფრანკ შუბელი. სიმღერა სიმღერასა სცვლის: „ნურავის ნუ ეტყვი", „სადმოს სიმღერა", კომპოზიტორ ბაუზეს „ყოველივე სხვანაირად იყო", სიმღერა კ. ნოფილმიდან „ცხელი ზაფხული" და სხვ.

დერკისა და შუბელის დუეტმა ესტრადაზე უკვე ჰპოვა აღიარება. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი კრისი და ფრანკი ერთად ქმნიან საესტრადო ნაწარმოებებს, წერენ სასიმღერო ტექსტებს, ხოლო შემდეგ კი შესაფერ მელოდიებს. მათი შემოქმედებითი და სამემსრულებლო მანერა უბრალო და სადა. საკონცერტო წარმატებაც ამის შედეგია. მათ მიერ შესრულებულმა დუეტმა „შემიყვარე, როგორც შენს გულს უნდა" გასულ წელს ბერლინის სიმღერის ფესტივალზე, სადაც 800 სიმღერა იყო წარმოდგენილი, პირველი პრემია მოიპოვა, ეს ახალგაზრდა მსახიობების დიდი გამარჯვება იყო.

ჯ. მაკპარიძე.

ჩვენს ქალაქ-ქალაქში

გვიატარებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

ვანის რაიონში ბუნების მშვენიერებით შემკული ბევრი კარგი ადგილია, რომელიც იზიდავს და ატკბობს ადამიანის თვალსა და გულს. ერთ-ერთი ასეთი ადგილია სოფელი სულორი, რომელიც რაიონულ ცენტრს დაახლოებით ათი კილომეტრით არის დაშორებული. აქ ახლახან აშენდა პანსიონატი 100 საწოლით.

სურათზე: ახალი პანსიონატის კოტეჯები სოფელ სულორში.

ფოტო შ. ჩხეტიანის და გ. გოგოხიასი.

ვერიკო ანჯაფარიძის საიუბილეოდ

მომავალი წლის აპრილში გაიმართება გამოჩენილი ქართველი მსახიობის, საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის, სსრკ სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე.

შეიქმნა საიუბილეო კომისია ს. ქართველოს სსრ კულტურის მინისტრის ო. თაქთაქიშვილის თავმჯდომარეობით.

გაიმართა საიუბილეო კომისიის პირველი სხდომა. სსრკ სახალხო არტისტის ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართება 1968 წლის აპრილში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

საიუბილეო საღამოები ჩატარდება რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ვ. ანჯაფარიძის შემოქმედებითი საღამოები მოეწყობა ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში, ერევანში, ბაქოში. საიუბილეო დღეებისათვის გამოვა ვერიკო ანჯაფარიძის „წერილების კრებული“, აგრეთვე ფოტოილუსტრირებული კრებული-ალბომი.

მოეწყობა ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედებითი გზის ამსახველი რადიო და ტელეგადაცემები, საქართველოს ჟურნალ-გაზეთები გამოაქვეყნებენ მასალებს ვერიკო ანჯაფარიძის შესახებ.

გადაღებული იქნება მოკლემეტრაჟიანი ქრონიკალურ-დოკუმენტური ფილმი „ვერიკო ანჯაფარიძე“.

საიუბილეო დღეებში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში და კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოეწყობა ვ. ანჯაფარიძის შემოქმედებითი გზის ამსახველი დიდი გამოფენა.

ონკოლოგთა საერთაშორისო კონფერენცია

ქალაქ სიღნაღში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მოიწვია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრამ და ონკოლოგიის რესპუბლიკურმა დისპანსერმა.

კონფერენცია გახსნა სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გ. ნასრაშვილმა. კონფერენციას ესწრებოდა კახეთის ყველა რაიონიდან ჩამოსული ასზე მეტი ექიმი. კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს პროფესორებს ლ. ჩარკვიანს, გ. გიორგაძეს, გ. მგალობლიშვილს, დოცენტ ვ. მესხეთაძისა და სხვა მეცნიერთა მოხსენებანი კიბოს ეპიდემიოლოგიის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს ონკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ა. ღვამიჩავამ.

(საქ. ფსი).

ვინ მოკლა კენედი?

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის მოკლედან უკვე რამდენიმე წელი გავიდა, „საუკუნის მკვლელობა“ კვლავ რჩება მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში. ამის შესახებ დაწერილია ასობით გამოკვლევა და წიგნი. მაგრამ რაც დრო გადის, ეორენის კომისიის დასკვნები სულ უფრო და უფრო მეტ კრიტიკას იწვევს. ცნობილი მეცნიერები, ჟურნალისტები ეურნალტები საკუთარ ძიებას აწარმოებენ და, როგორც წესი, საწინააღმდეგო დასკვნებს იღებენ. ახალორლეანელმა პროკურორმა ჯ. ჰარისონმა კი რამდენიმე პირს ბრალდებაც კი წაუყენა. ერთი სიტყვით ძიება გრძელდება და ვინ იცის იქნებ აეხადოს ფარდა საიდუმლოებით მოცულ ამ მკვლელობას, რომელიც დღითიმზისით „ყველაზე თავისუფალ“ ქვეყანაში მოხდა.

ღღეს ვბეჭდავთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნებულ „ინტერნეიშენ ჰერალდ ტრიბუნიდან“ გადმობეჭდილ წერილს, რომელიც მოგვითხრობს ჯიმუა ტომპსონის წიგნის „ექვსი წამი დალასში“ ძირითად დასკვნებზე.

პრეზიდენტის მოკვლა ფაქტი შეთქმულების შედეგი იყო, აპტკიცებს კენედის მოკვლის გარემოებათა ახალი გამძიება. ამ ჰიპოთეზის მიხედვით მას სამმა ვაცმა ესროლა და ყველანი ალბათ დღემდე თავისუფალნი არიან. ძირითადი შედეგები ამ ორი წლის გამძიებისა, რომელიც გეიეერფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა (პენსილვანიის შტატი) დოქტორმა ჯიმუა ტომპსონმა ჩაატარა, გამოქვეყნებული იქნება ჟურნალ „სატერდეი ივენინგ პოსტში“. ჟურნალის სარედაქციო სტატიაში ნათქვამია, რომ „დოქტორი ტომპსონი მთლიანად უარყოფს ეორენის კომისიის გამოძიებათა შედეგებს“ და მთავრობისაგან მოითხოვს ახალ გამოძიებას.

უნივერსიტეტის ფილოსოფიის მასწავლებელი ამტკიცებს: „მიუხედავად იმისა, რომ მკვლელობის დაწვრილებითი გარემოებანი ბუნდოვანი რჩება, ასლა ნათელია ერთი: „ეორენის კომისიის დასკვნა ხლოდ „ერთადერთ მკვლელზე“ ამსოლუტურად მეცდარა. სამი შაშხანიდან ოთხჯერ ისროლეს ექვსი წამის განმავლობაში“.

დოქტორ ტომპსონის ზოგიერთი დასკვნა ეყრდნობა მის მიერ ეროვნული არქივის დოკუმენტების, ფოტოსურათების, ტრაგედიის მსახველთა ინტერვიუების შესწავლას, რომლებიც ცხობილი არ იყო ეორენის კომისიისათვის. სხვა დასკვნები და შედეგები ეყრდნობა ეორენის კომისიის მასალების შესწავლასა და ანალიზს. დოქტორი ტომპსონი არ შესდგომია იმის გამოცხობას, თუ ვინ იყვნეს მკვლელები, არ განუხილავს ბორტოგორმეფდების მოტივები, მაგრამ იგი ეძებს გამოძიებას ლი ჰარი ოსვალდის დანაშაულისაგან. იგი ეთანხმება, რომ ოსვალდი ნამდვილად ესროლა ეორენის ნაკვლევში შენობაში იმყოფებოდა და რომ მისი შაშხანა გამოიყენეს გასროლისათვის. მაგრამ „სავსებით ნათელია“, აცხადებს იგი, რომ ოსვალდი არ არის ის მკვლელი, რომელმაც მეექვსე სართულის ფანჯრიდან ესროლა.

დოქტორი ტომპსონი ამტკიცებს, რომ ჯ. ჭაპრუდერის ფერადი ფილმის დენტი და გუბერნატორი კონელი, მეცდარია. ჭაპრუდერის მიერ გადაღებული ფირი, რომელიც აჩვენებს, რომ ორივე დაიჭრა არა ერთდროულად, არაუდი რამდენიმე წამში, სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ უარყოფილ იქნას ერთი და ი